ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს წევრების ელექტრონული გამოკითხვის შედეგები

ოქმი № 19

ქ. თბილისი, 2 ოქტომბერი, 2024 წელი

დღის წესრიგი: უცხო ენაში ინტენსიური სასწავლო კურსების დამტკიცების შესახებ.

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

საბჭოს წევრებს დაეგზავნათ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილის მიერ მომზადებული ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისთვის უცხო ენაში (ინგლისური ენა C1.1 და C1.2) ინტენსიური სასწავლო კურსების დამტკიცების შესახებ. აღნიშნული სასწავლო კურსები მოამზადა თსუ ენების ცენტრმა. ვინაიდან, სასწავლო კურსი უნდა გაიაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა, წესის შესაბამისად, აუცილებელი იყო საბჭოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, მომზადდა ინდივიდუალური სასწავლო განრიგი ინტენსიური კურსის განხორციელებისთვის. **აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონული თანხმობა განაცხადა საბჭოს 21 წევრმა.**

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ენების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინტენსიური სწავლებისთვის განკუთვნილი სასწავლო კურსის სილაბუსები: ინგლისური ენა C1.1; ინგლისური ენა C1.2 და შესაბამისი სასწავლო განრიგი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი — გ.ღაღანიძე
მდივანი, ასოცირებული პროფესორი — გ. ერქომაიშვილი